ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IMPACT HUB Vienna

ČENN
Shaping the Future by Changing Today

ზემოქმედების გაზომვა

„მხოლოდ იმის მართვა შეიძლება, რაც იზომება...“
ძველი საქმიანი გამონათქვამი

KRDF
ქახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

Green lane

შესავალი

გამარჯობა. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ონლაინ სახელმძღვანელოში, რომელიც სავსეა საკუთარი სოციალური ბიზნესის დასაწყებად საჭირო პრაქტიკული რჩევებითა და მასალებით.

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნომერში თქვენ გაეცნობით ბიზნესის ისეთ იდეებს, რომლებსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, მიიღებთ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული სოციალური საწარმოებისა და ქსელების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საკუთარი სოციალური ბიზნესსაქმიანობის დაწყებაში დაეხმარება.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ის განკუთვნილია კერძო მეწარმეებისა და სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისათვის მათი ცოდნის, გამოცდილების, ლიდერობის უნარებისა და მდგრადობის გასაძლიერებლად.

სახელმძღვანელოს რჩევების გათვალისწინებისა და გამოყენების შედეგად თქვენ:

- უკეთ გაიგებთ სოციალური საწარმოების მოდელების ღირებულებასა და მიზნებს;
- მიიღებთ ცოდნასა და გამოცდილებას რეალური სოციალური საწარმოების მაგალითებიდან;
- შეძლებთ სახსრების მოზიდვის და შემოსავლების მოდელების იდენტიფიცირებას;
- გაიაზრებთ შემოსავლის მიღების მოდელებზე წარმატებით გადასასვლელად აზროვნების შეცვლის აუცილებლობის მნიშვნელობას;
- უკეთ გაიგებთ თემის განვითარების აუცილებლობის მნიშვნელობას;
- თქვენი ორგანიზაციისა თუ სოციალური საწარმოსთვის გამოიყენებთ ისეთ პრაქტიკულ საშუალებებს, როგორიცაა „სთორითელინგი“ (ამბის თხრობა) და ბრენდირება;
- შეისწავლით და დანერგავთ ზემოქმედების შეფასების მეთოდებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელო შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისა თუ სოციალური საწარმოს გრძელვადიანი მდგრადობის მისაღწევად მისი გაუმჯობესების, სრულყოფის ან შეცვლის მოტივაციას.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ზემოქმედების გაზომვა

„მხოლოდ იმის მართვა შეიძლება, რაც იზომება...“ ძველი საქმიანი გამონათქვამი

რატომ არის ზემოქმედების გაზომვა და მოდელირება მნიშვნელოვანი?

- **ზემოქმედების მოდელი ადგენს იმ ღონისძიებებს, რომლებიც იწვევენ ჯაჭვურ ზემოქმედებას გარკვეულ სამიზნე ჯგუფში (ჯგუფებში):**

  ა. მომხმარებლებში: ვინც იხდის პროდუქტის/მომსახურების ფასს და იყენებს ამ პროდუქტს/მომსახურებას;

  ბ. ბენეფიციარებში: ვინც სარგებელს მისი სოციალური განზომილებიდან იღებს.

- იძლევა იმის გარკვევის შესაძლებლობას, თუ რას და როგორც შეცვლის თქვენი ბიზნესი (რა საშუალებებით, საქმიანობით, ღონისძიებით, და სხვ.);
- ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუქმნის საერთო საფუძველს - ერთიან პოზიციას;
- ქმნის ზემოქმედების გაზომვისა და ანალიზის საფუძველს;
- ქმნის გაუმჯობესების პოტენციალისა და შესაძლო მიზნების დადგენისა და მიზნების გამორიცხვის საფუძველს.



სოციალური ზემოქმედების მქონე ორგანიზაციებს სურთ გააუმჯობესოს საარსებო გარემო საზოგადოებაში ადამიანების ერთად ცხოვრებისა და მოქმედების წესის გაუმჯობესებით. მათი მიზანია, მაგალითად:

... ცალკეული ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.
... განსხვავებული ჯგუფების ერთმანეთთან დაახლოება.
... ცხოვრების პირობების გაუმჯობესება გარკვეულ სისტემებში (მაგ., რეგიონებში).
...სოციალური მიმართულების მქონე მდგრადი განვითარების მიზნების (მაგ., მრავალფეროვნება, განათლება) მიღწევაში საკუთარი წვლილის შეტანა.

საუბარია სოციალურ ზემოქმედებაზე. არ არის საკმარისი მხოლოდ იმის განცხადება, რომ ჩვენ სოციალურ ზემოქმედებას ვახდენთ, ჩვენ ეს უნდა დავამტკიცოთ კიდეც. სწორედ აქ არის საჭირო ზემოქმედების გაზომვა. ზემოქმედების გასაზომად და მისი შედეგების გამოსაყენებლად საჭიროა დასახული მიზნების შესრულების მონიტორინგის წარმოება, არა მხოლოდ წარმატების, არამედ წარუმატებლობის გაანალიზება, გუნდისა და მხარდამჭერების მოტივირება ორგანიზაციის ხედვასთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად, გრძელვადიანი სტრატეგიისათვის ახალი იდეების შემუშავება, და ა.შ.

.



<u>პრაქტიკული სავარჯიშო:</u>

- ***განიხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა. იაში მდგომარეობს თქვენი ორგანიზაციის/სოციალური საწარმოს საქმიანობის, პროექტებისა და საზოგადოებასთან მუშაობის კონკრეტული შედეგები, ზოგადი შედეგები და ზემოქმედება.***
- ***IOOI მოდელი: ნიშნავს რესურსების, კონკრეტული შედეგის, ზოგადი შედეგისა და ზემოქმედების მოდელს.***





- ***შეაჩჩიეთ თქვენი ორგანიზაციის/სოციალური საწარმოს ერთი პროექტი/პროდუქტი/მომსახურება და უპასუხეთ სოციალურ დონეზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ შემდეგ კითხვებს:***

    - "რა მნიშვნელობა აქვს ჩემი სამიზნე ჯგუფის დონეზე მიღწეულ დადებით ცვლილებებს საზოგადოებისათვის?"
    - „რა მოხდება, თუ ჩემი სამიზნე ჯგუფის დონეზე მიღწეული დადებითი ცვლილებები ყველა დაინტერესებულ პირს შეეხება?"
    - „რაში მდგომარეობს ზემოქმედება ჩემი რეგიონის/სოფლის „სოციალურ დონეზე"?"
    - „რა წვლილი შეგვაქვს მდგრადი განვითარების მიზანი XXX-ს შესრულებაში?"

პრაქტიკული სავარჯიშო:

- ***ზემოქმედების უკეთ და სიღრმისეულად დასადგენად გაიარეთ ცვლილებების თეორია ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.***



სახელმძღვანელოს მომზადებისთვის მადლობას ვუხდით:

heartbeats innovation & communication

·m!· www.mladiinfo.eu

YES We Care 2

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, ჰეგიონული პროექტის „EU4Youth: სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის საზღვრისპირა ჰეგიონებში“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ზემოქმედების გაზომვა

„მხოლოდ იმის მართვა შეიძლება, რაც იზომება...“
ძველი საქმიანი გამონათქვამი